დამტკიცებულია შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.
საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ
ბრძანება N111 – 29/11/2023წ.
ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26/08/2025წ.

# შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

## პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში – „კოდექსი“) ადგენს შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის (*შემდგომში „კოლეჯი“*) პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების (შემდგომში – „სტუდენტი/მსმენელი“) უფლებებსა და ვალდებულებებს, ქცევის წესებს, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესებსა და ადმინისტრირების პროცედურებს;

1.2. კოდექსი სავალდებულოა კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისთვის, ასევე ყველა იმ პირისთვის, ვინც სარგებლობს კოლეჯის საგანმანათლებლო მომსახურებით;

1.3. სტუდენტები/მსმენელები სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა რეგულაციებით მინიჭებული ყველა უფლება–მოვალეობით;

1.4. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია სრულად დაიცვას კოლეჯის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დებულებები და პრინციპები;

1.5. კოდექსის დარღვევის შემთხვევაში საკითხს განიხილავს კოლეჯის ეთიკის კომისია. კომისიის გადაწყვეტილების შესრულება სტუდენტისთვის სავალდებულოა;

1.6. კოდექსის დაცვა ხელს უწყობს პროფესიული განათლების მიზნების წარმატებით განხორციელებას, კოლეჯის ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებას.

### მუხლი 2. სტუდენტების/მსმენელების უფლებები და ვალდებულებები

2.1. სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და პრაქტიკულ პროცესში;

ბ) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

გ) ისარგებლოს კოლეჯის ინფრასტრუქტურითა და სასწავლო რესურსებით;

დ) მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შესახებ;

ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებაში;

ზ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;
თ) ისარგებლოს განმეორებითი შეფასების უფლებებით;
ი) გაასაჩივროს მიღებული შეფასება დადგენილი წესით;
კ) პროფესიული პროგრამის გაუქმების ან ცვლილების შემთხვევაში დაასრულოს სწავლა ან ისარგებლოს მობილობის უფლებებით;
ლ) შექმნას სტუდენტური გაერთიანებები და ორგანიზაციები.

2.2. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
ა) დაიცვას კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა აქტების მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებები;
გ) დაიცვას კოლეჯთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები;
დ) პატივი სცეს სხვა პირების უფლებებსა და ინტერესებს;
ე) თავი შეიკავოს პლაგიატის გამოყენებისაგან;
ვ) გაუფრთხილდეს კოლეჯის რეპუტაციას, ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსებს.

**მუხლი 3. კოლეჯისა და სტუდენტის/მსმენელის თანამშრომლობა**

3.1. კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტების/მსმენელების ინტეგრაციას სასწავლო გარემოში, უზრუნველყოფს მათი საჭიროებების გამოვლენასა და დაკმაყოფილებას, აგრეთვე უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და გათვალისწინებას;

3.2. კოლეჯის თანამშრომლები ორიენტირებულნი არიან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და თანამედროვე სასწავლო სისტემების დანერგვაზე;

3.3. სტუდენტთან უშუალო მომსახურების შემდეგ თანამშრომელი იღებს უკუკავშირს და საჭიროების შემთხვევაში აწვდის ინფორმაციას უშუალო ხელმძღვანელს;

3.4. სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურების ჩართვას.

**მუხლი 4. ფინანსური ვალდებულებები**

4.1. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დროულად დაფაროს კოლეჯის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასური და სხვა გადასახადები;

4.2. მატერიალური ზიანის შემთხვევაში ზარალის ოდენობა განისაზღვრება რესურსის საბაზრო ღირებულებით და განისაზღვრება დირექტორის მიერ შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით;

4.3. სწავლის საფასურის ოდენობა დგინდება დირექტორის ბრძანებით და მოქმედებს მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში;

4.4. სწავლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით კოლეჯის საბანკო ანგარიშზე. პირობების დარღვევისას შესაძლოა შეჩერდეს სტუდენტის სტატუსი;

4.5. დირექტორს უფლება აქვს დაადგინოს გადახდის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**მუხლი 5. წახალისება**

5.1. სტუდენტების/მსმენელების წახალისება ხდება დირექტორის ბრძანებით განსაკუთრებული მიღწევებისა და კოლეჯის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის;

5.2. წახალისების ფორმებია: მადლობა, ფასიანი საჩუქარი, დისციპლინური სახდელის მოხსნა, სხვა შესაბამისი ღონისძიება;

5.3. წახალისების გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით და ერთვება პირად საქმეს.

**მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური წარმოება**

6.1. სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან დაიცვან ქცევის წესები, ეთიკის ნორმები და კოლეჯის რეპუტაცია;

6.2. ეთიკის დარღვევად ითვლება: სასწავლო პროცესის შეფერხება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარება, თამბაქოს მოწევა, ქონების დაზიანება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ძალადობა, აზარტული თამაშები, ინვენტარის დაზიანება, იარაღის შემოტანა, პლაგიატი, თაღლითობა გამოცდის დროს, დოკუმენტაციის გაყალბება და სხვა;

6.3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები უნდა იყოს პროპორციული ჩადენილ გადაცდომასთან და არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვა პირების უფლებებსა და უსაფრთხოებას.

6.4. დისციპლინური ზომებია:

ა) ზეპირი შენიშვნა;

ბ) წერილობითი საყვედური;

გ) მკაცრი საყვედური პირად საქმეში შეტანით;

დ) სტატუსის შეჩერება.

6.5. ერთ გადაცდომაზე გამოიყენება მხოლოდ ერთი სახდელი;

6.6. რეციდივი ნიშნავს სახდელის მოქმედების პერიოდში მსგავსი ან უფრო მძიმე გადაცდომის განმეორებას. ასეთ შემთხვევაში სტუდენტზე ვრცელდება უფრო მკაცრი სახდელი, რომლის ვადა განისაზღვრება ახალი გადაცდომის დღიდან;

6.7. დისციპლინური წარმოების საფუძველი შეიძლება იყოს: განცხადება, საჩივარი, ინფორმაციის მიღება, პროცესში გამოვლენილი დარღვევა ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა;

6.8. წარმოების განხორციელების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს. წარმოების ვადა არ აღემატება 1 თვეს;

6.9. პროცესში სავალდებულოა ახსნა-განმარტების მოთხოვნა სტუდენტისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები უტყუარად ადასტურებს გადაცდომას;

6.10. წარმოების პროცესში შესაძლებელია ინფორმაციის, დოკუმენტებისა და ვიდეომასალების გამოთხოვა. კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია დირექტორს წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია ან დოკუმენტი;

6.11. დისციპლინური საქმე განიხილება დირექტორის მიერ შექმნილი კომისიის მიერ (არანაკლებ 3 წევრისგან). კომისიას ხელმძღვანელობს დირექტორი ან მის მიერ განსაზღვრული პირი;

6.12. კომისიის დასკვნა წერილობით წარედგინება დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას 10 დღის ვადაში;

6.13. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამართლებრივ შეფასებასა და დასაბუთებას. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6.14. დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ვრცელდება, თუ გადაცდომიდან გასულია 1 წელი. შენიშვნა მოქმედებს 1 თვე, საყვედური – 3 თვე. ვადამდე მოხსნა შესაძლებელია დირექტორის გადაწყვეტილებით.

**მუხლი 7. დავების განხილვა**

7.1. კოლეჯსა და სტუდენტს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება შემათანხმებელი პროცედურებით;

7.2. საჩივარს განიხილავს დირექტორი ან სპეციალური კომისია სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით;

7.3. გადაწყვეტილება მიიღება არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

7.4. თუ შეთანხმება ვერ მიიღწა, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

**მუხლი 8. დოკუმენტის დამტკიცება და ცვლილებები**

8.1. კოდექსი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

8.2. დოკუმენტი განახლდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ;

8.3. ცვლილებები ხორციელდება დირექტორის ბრძანებით და შეტყობინება ხდება ოფიციალურ ვებგვერდზე, ელექტრონული ფოსტით ან საერთო შეხვედრის გზით.